კურსის ლექტორი: გიორგი ცერცვაძე,

განათლება

1989 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი. სტუდენტობის წლებში იყო სახელობითი (ლენინური) სტიპენდიანტი, პროგრამირებაში საერთო-საკავშირო სტუდენტური ოლიმპიადების ორგზის მონაწილე და ლაურეატი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ქ. მოსკოვში. 1990-1992 წლებში —რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მ.ვ. კელდიშის სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტია.

ამავე ინსტიტუტში 1992 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მათემატიკური მოდელირების სპეციალობით. არის 10 სამეცნიერო შრომის ავტორი.

არის საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამის — ქართული „ინფო ბუღალტერის“ შექმნის (1997 წელი) ინიციატორი, ორგანიზატორი და თანაავტორი, და პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი დღემდე.

2000 წლის იანვრიდან დღემდე ყოველთვიური პროფესიული ჟურნალის „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ გამომცემელი და მთავარი რედაქტორია, ხოლო 2004 წლის აპრილიდან — ყოველკვარტალური ჟურნალის „ბიზნესი და მენეჯმენტის“ გამომცემელი.

2001 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი.

2000-2008 წლებში კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

2011 წლიდან კითხულობს ლექციებს შპს „ააფ-კაპიტალის“ სასწავლო ცენტრში.

2013 წლის ოქტომბერ-დეკემბერში შემოსავლების სამსახურმა ორჯერ ჩაატარა ალტერნატიული აუდიტის განმახორციელებელ პირთა შესარჩევი ტესტირება (გამოცდა). ტესტირებებში მონაწილეობა მიიღო აუდიტის, აღრიცხვისა და საგადასახადო საქმის 1249 სპეციალისტმა, რომლებიდანაც გამოცდის წარმატებით ჩაბარებისათვის დადგენილი ზღვარი დაძლია მხოლოდ 31-მა კანდიდატმა. გიორგი ცერცვაძე იყო ერთ-ერთი მათ შორის, ამასთან, მის მიერ ნაჩვენები შედეგი - 90% აღმოჩნდა საუკეთესო ყველა მონაწილეს შორის.

არის სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი და აუდიტორი 1999 წლიდან.

სამუშაო გამოცდილება

გიორგი ცერცვაძე 1996-97 წლებში მონაწილეობდა რუსული აუდიტური ფირმის ЗАО "Ин Аудит"-ის მიერ ჩატარებულ სხვადასხვა რუსული კომპანიების აუდიტორულ შემოწმებაში. ერთობლივი აუდიტი ჩაუტარდათ შემდეგ კომპანიებს:

• სააქციო საზოგადოება "Товары Органического Синтеза" (ქ. მოსკოვი, ქიმიური მრეწველობა);
• სააქციო საზოგადოება "Химконверс" (ქ. მოსკოვი, ქიმიური მრეწველობა);
• სააქციო საზოგადოება "Алагро" (ქ. მოსკოვი, საბითუმო ვაჭრობა);
• სააქციო საზოგადოება "МиК" (ქ. მოსკოვი, დაზღვევა);
• სააქციო საზოგადოება "Севергазгеофизика" (ქ. ახალი ურენგოი, РАО "Газпром"-ის შვილობილი საწარმო, გეოლოგიური სამუშაოები);
• სააქციო საზოგადოება "РИФ" (ქ. ახალი ურენგოი, მშენებლობა);
• სააქციო საზოგადოება "Миг-Связь" (ქ. ახალი ურენგოი, კავშირგაბმულობა);
• შპს "Уренгойавтотранс" (ქ. ახალი ურენგოი, საგრანსპორტო მომსახურება).